| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი



## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის საგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი ღ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ახალი ამბავი

*** გუშინ, 15 ნოემბერს, ტფილისის „სობრანიის“ ბაღში ქალაქის თვით-მმართველობამ სადილი გაუმართა ახლად მოკრებულ ტფილისის ჯარის-კაცებსა. 15 ნოემბერი უკანასკნელი დღე იყო იმათის თავისუფლებისა და ამის გამო დიდი პატივი სცა ქალაქმა. აგრეთვე ამა ჯარის-კაცთა ნაცნობებმა, ნათესავებმა და სწორ-ამხანაგობამ დიდი თანაგრძნობა და სიყვარული გამოიჩინეს მათდამი. სადილზე მოჰქონდათ სხვა-და-სხვა საუზმე, სასმელები და სხვანი. ახალ ჯარის-კაცთ დაურიგეს იაფიან ჯუბი, ახალი ჩოხა და კიდევ დანარჩენი ტანთ-საცმელი. ეხლა ყვარელისაკენ ისტუმრებენ ყველასა.

*** ამბობენ, ოთხშაბათს გამოსაცდელად გაანათებენ ახალ თეატრს ელექტრონითაო. მილები და მაშინები ბევრგან უკვე ჩაუწყვიათ.

*** თუმცა დიდი მეცადინეობა იხმარა ქალაქმა, რომ ბირჟაზე რიგიანი ეტლები იყოს და შიგაც ჯაგლაგი ცხენები არ ებნენ, მაგრამ ჩვენი მეეტლენი აუქმებენ ამ მეცადინეობას და გამოჰყავთ, მეტადრე ღამ-ღამეობით, ისეთი ჯაგლაგი ცხენები, რომ ზედ არ შეეხედებათ. გუშინ დილით ბარიათინსკის ქუჩაზე, სამეურნეო საზოგადოების სახლთან, შემდგარიყო ასეთი ფაიტონი და ფეხი ვერ გადაადგმევინეს ცხენებსა შიგ მჯდომის საუბედუროდ.

*** გუშინ-წინ, 15 ნოემბერს, ბაქოდამ მომავალ მატარებელზე ისეთი სივიწროვე იყო ვაგონებში, რომ არა თუ თავისუფალი საჯდომი სკამები აღარ იყო, ფეხზე დგომისათვისაც ადგილი არ მოიძებნებოდა. მგზავრები მეტად შეწუხებულიყვნენ და ძრიელ ემდურებოდნენ საცოდავ კონდუქტორებსა, რომელნიც ამაში უდანაშაულონი იყვნენ, მაგრამ ძლივს-კი გადურჩნენ გამწარებულ მგზავრებისაგან მოქმედებით შეურაცხყოფასა.

*** ჩვენ მივიღეთ მესამე გამოცემა ბ-ნ მურიეს ჟურნალისა „Revue commerciale et industrielle du Caucase“. ეს მესამე გამოცემაც წინა ნომრებსავით შინაარსიანია და ყველა დიდის სიამოვნებით წაიკითხავს. შემდეგი წერილებია დაბეჭდილი ამ ნომერში: „კავკასიის გამოფენის პროექტი“, „ამიერ-კავკასიის რკინის გზა“, „გეოლოგიური ესკიზი კავკასიაზედ“, „შავი-ქვის მადნები“, „სამრეწველო ხელოვნებანი კავკასიაში“, „ბიბლიოგრაფია“ და „ვაჭრობისა და მრეწველობის ამბები“.

*** 13 ნოემბერს, გაზ. «Нов. Обоз.»-ს სიტყვით, სამოსამართლო პალატას გაურჩევია საქმე ყორხმაზიანცისა, პულპულიანცისა და ტიგრანიანცისა, რომელთაც საპერნის ქუჩაზედ მოვასხე ჩიჩოტის მკვლელობა ჰბრალდებათ. ამ ბრალდებულთა საქმე ოლქის სასამართლომ უკვე გაარჩია და თავისი მსჯავრი დასდო, ხოლო არუნოვი გაამართლა და ამის გამო პროკურორი არ დაკმაყოფილდა და საჩივარი გადაიტანა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა პირველს სამს ბრალდებულზედ ოლქის სასამართლოს მსჯავრი. ამ მსჯავრის თანახმად ყორხმაზიანცი ოცის წლით უნდა გაიგზავნოს კატორგაში და პულპულიანცი და ტიგრანიანცი-კი თხუთმეტ-თხუთმეტის წლით. ხოლო პალატამ ოლქის სასამართლოს მიერ გამართლებული არაქელ არუნოვი დამნაშავედ იცნა, მკვლელნი მკვლელობაში წაუქეზებიაო, და ოკის წლით კატორგა გადაუწყვიტა.

*** გაზ. „Кавказъ“-ში დაბეჭდილია ბ-ნ მელლერის ანგარიში საჯარო წიგნთ-საცავის მდგომარეობისა. იქიდამა სჩანს, რომ წელს 1 იანვრიდამ 1 ნოემბრამდე წიგნთ-საცავში მისულა 4.120 მკითხველი. ყოველივე წიგნი შეტანილია კატალოგში; 1881 წლამდე დაბეჭდილია კატალოგი და იმის შემდეგ ხელთ-ნაწერი. თხზულებანი უფრო უმეტესად კავკასიას შეეხება. უკეთუ რომელიმე თხზულება აკლია და მკითხველი სთხოვს, რომ გამოიწერონ, წიგნთ-საცავი მაშინვე გამოიწერს, მეტადრე თუ რუსულს ენაზეა თხზულება. წიგნთ-საცავსა აქვს 15.862 თხზულება 29.506 წიგნადა.

*** გაზ. „Карсъ“-ი იწერება, რომ ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით აღწერა მოხდა ყარსის საჯარო აბანოებისა. აღწერამ აღმოაჩინა, რომ პატრონები ძრიელ უსუფთაოდა და ბინძურად ინახავდნენ თავიანთ აბანოებსა, თუმცა ხალხი ბევრსა ჩიოდა. ბ-ნ გუბერნატორმა პატრონებს უსუფთაობისა გამო გადუწყვიტა ათ-ათი თუმანი ჯარიმა თითო აბანოზე. ურიგო არ იქნებოდა, ასეთივე გამაფრთხილებელი ღონის-ძიება ჩვენს ტფილისშიაც შემოეღოთ, რადგან სხვაფრივ არა ეშველა-რა ჩვენს აბანოებსა.

## წერილი ფოთიდამ

კვირას, 8-ს ნოემბერს, ფოთის კლუბის ზალაში წარმოდგენა იყო გამართული ქართულის სცენის მოყვარულთაგან კლუბის სცენის სასარგებლოდ. წარმოადგინეს შემდეგი პიესები: „დილა ქორწილის შემდეგ“, ვოდ. ა. ყაზბეგისა, „უჩინ-მაჩინის ქუდი“, კომედია თ. გ. ერისთავისა, „ჯერ დედა“, კომ. თარგმანი ეას. აბაშიძისა და „გულმა იგრძნო“, ვოდ. თარგმანი მ. საფ.-აბაშიძისა.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ მაყურებელთა რიცხვი არ აღემატებოდა ოცს კაცსა.

საკვირველია, ღმერთმანი, ასეთი გულ-გრილობა ფოთის ქართველთა საზოგადოების მხრით, იქ, სადაც საჭიროა შემწეობა საზოგადოების მიერ. ფოთში-კი შემწეობის მაგივრად, თითქო დაფიცებულები იყვნენ, არამც თუ შემწეობა აღმოუჩინონ, არამედ ცდილობენ საქმე ჩაქოლონ.

## ფელეტონი

### მეტად გვიან თუ მეტად ადრე?

(დასასრული*)

II

### მეტად ადრე

(წერილი რედაქციის მიმართ)

მანდილოსანი გახლავართ, ბატონო რედაქტორო, და კალმის ხმარებას ჩვეული არა ვარ. თქვენთან პირდაპირ ლაპარაკი რომ შემეძლოს, უეჭველად დაგარწმუნებდით, რომ ყოველივე ჩემ მიერ თქმული სიმართლე და ჭეშმარიტებაა, მაგრამ სალაპარაკოდ ვერსადა გნახეთ. მხოლოდ ერთხელა გნახეთ და ისიც მაშინ, როცა თქვენ სადღაც მიეჩქარებოდით და საჩემოდ არ გეცალათ. იმას შემდეგ რამდენჯერმე შემოვიარე თქვენსას და თქვენმა მსახურებმა ყოველთვის ის პასუხი მომცეს, რომ „ეს-ეს არის სახლიდგან გავიდა და დღეს აღარ დაბრუნდებაო“.

ის საგანი, რაზედაცა მსურს მოგელაპარაკოთ, მარტო მე რომ შემეხებოდეს, თავს არ შეგაწუხებდით, ხოლო იმ წერილის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ, რომელიც ამას წინად თქვენ მიერ გამოცემულს გაზეთში იყო დაბეჭდილი და მაშასადამე იმ წერილის დედა-აზრთა თანახმა და პასუხის-მგებელიც თქვენ უნდა იყვეთ. იმ წერილს სათაურად „მეტად გვიან“ აწერია და ბოროტის მეტს სიკეთეს არას მოიტანს-რა. როგორც ეტყობა, წერილის მთხზველი იმ მხიარულ კაცთაგანია, რომელთაც, ძალიან სახელგანთქმულნი და გამოჩენილნიც რომ იყვნენ, მე პატივს არა ვცემ. ჩემი ქმარი, ტომკინსი, ყოველთვის აქებს და ადიდებს იმ მწერლებს, რომელთაც წერილები სასაცილოდ და პირზე ღიმილის მოსაყვანად შეუძლიან სწერონ, ხოლო, ჩემის აზრით, სასაცილოს მწერალი კარგს იზამდა, რომ, ხალხის წახდენის მაგიერ, თავზედ ცივი წყალი დაისხას ხოლმე და მორჩეს თავის სნეულებისაგან. ტომკინსი დარწმუნებით ამბობს, რომ სიცილი გადამდებიაო. თქვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილის ავტორი ხუმრობაში აქებს და ადიდებს ერთს უცნაურს წესსა და რიგზედ მცხოვრებს ადამიანს. ნება მომეცით წერილის ავტორს ორიოდე სიტყვა ვუთხრა იმის თაობაზედ, თუ რა ცუდია, როცა კაცი დაჩვეულია, რომ ყველაფერს „მეტად ადრე“ აკეთებდეს.

ტომკინსი ამ მხრივ მეტად სნეულია და ავადმყოფი. ვურჩევ ყველა ყმაწვილს ქალებს, რომ გათხოვებამდე თავისი საქმრო გამოსცადონ, მოუსვენარი და დაუდეგრაგი კაცი ხომ არ არის. თუ ვაჟკაცს ღვინის სმა უყვარს, ამას კიდევ წამალი დეედება: დავკეტავ სანოვაგეს საწყობს, გასაღებს ჯიბეში ჩავიდებ და ფულადაც ხელში გროშს არ ჩავუგდებ. ხოლო თუ ყველაფრის ადრე და აჩქარებით გაკეთების სენი სჭირს, ვაღიარებ, ამის დაშლევინება მეტად, მეტად ძნელია.

ის უმჯობესია, თქვენმა საქმრომ ცოტაოდენი დაიგვიანოს ჯვარ-წერის დღეს ეკკლესიაში, ვიდრე ისა, რომ თავ-ფქვილა იყოს და შეშლილსავით ეკკლესიაში მოვარდეს მაშინ, როცა ჯერ არც მოძღვარი მისულა იქ და თქვენც, როგორც რიგია, მომზადებული არა ხართ. იქნება ამ თქვენის საქმროს ეკკლესიაში ადრე მისვლის გამო თავ-მოყვარეობამ ის გაფიქრებინოთ, რომ ჩემს საქმროს ძალიან ვუყვარვარო; ხოლო ნუ გეწყინებათ და გარწმუნებთ, რომ თქვენი საქმრო, თუ ყველაფრის ადრე გაკეთება სჭირს სენად, ისევე ადრე მივიდოდა ეკკლესიაში, თქვენ რომ იქ ანდერძის ასაგებად მკვდარი დებულიყავით. მაგალითებრ, ტომკინსი ბევრში მშვენიერი ქმარია და, ჩემის აზრით, ვუყვარვარ კიდეც, ხოლო მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ქმარს ჯერ ყველაფრის დროზედ გაკეთება უყვარს და მერე მე. როცა ტომკინსი გზად სადმე მიდის და ცოლ-შვილს ემშვიდობება, მხოლოდ ერთის თვალით ჩამოაგდებს ხოლმე ცრემლსა, მეორე თვალით საათსა სინჯავს, დრო ხომ არ არის, რომ ეტლისათვის გავგზავნოვო. ყოველთვის ეშინიან, რომ მატარებელს არ მოვცდეო და ამიტომ სულ ერთიანად ჩამოდნა, ჩამოხმა. უმეტესი სიცოცხლე ტომკინსისა მოგზაურობასა და წასვლა-მოსვლაში გადის, ხოლო მგზავრობაზე მეტს დროს მგზავრობისათვის მომზადებას ანდომებს. იმის წინა დღეს, როცა ტომკინსს სადმე წასვლა ფიქრადა აქვს, სულ ხურჯინის ჩალაგებასა და იმ ბარათების წერას უნდება, რომელიც ყუთებზედ უნდა დააკრას. ტანთ გაიხდის და დაიწყებს დიდის გულ-მოდგინებით იმის წერას, რაც ხვალ დილით უნდა მოუმზადონ; ისეთის გულ-დასმითა სწერს ამ ბარათს, თითქო ანდერძის ქაღალდსა სწერდესო. ამასთან ყოველთვის წაუმატებს ხოლმე: ნახევარის საათით უფრო ადრე გამაღვიძეთ იმ დროზე, რომელიც გითხარით, რადგან ძალიან ადრე ადგომაა საჭიროეო. ეს სიტყვები სრულიად მეტია, რადგან ტომკინსი დანიშნულს დროზედ ერთი-ორად ადრე წამოდგება ხოლმე; ლოგინიდგან სულ ერთიან ადგომამდე-კი სულ ცოტა ერთი ოცჯერ წამოხტება მთელს ღამეში და ფანჯარაში გაიხედავს, — კარგი იქმნება ტაროსი, თუ არაო; ამ გარემოებაზეა დამოკიდებული ის მეტად მაღალ-მნიშვნელოვანი საგანი: წავიღო თან პალტო, თუ არაო? ტომკინსი ჩაცმის დროს ჩქარობს და ამ სიჩქარის გამო სულ ერთიანად აიჩეჩავს ხოლმე ტანისამოსსა. სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ ყველაფერი ადრევე მქონდეს მზადაო; ამის გამო ხშირად საპარსხელს, პირსახოცს და სხვა ამისთანა საჭირო ნივთებს ღამევე ყუთში ჩააწყობს და დილით-კი უკანვე უნდა ამოიღოს ხოლმე. ტომკინსი წვერს ყოველთვის საღამოთი იპარსავს. თუ საღამოზე ვერ მოახერხა და წვერის მოპარსვა ვერ იდროვა, ყოველთვის მეშინიან, თავის თავს არა აუტეხოს-რა-მეთქი, რა-კი ვიცი იმის ამბავი, როგორის სიჩქარითაც იცის დილით წვერის ფხეკა.

— ჯორჯინა, ბამბა სად არის? ჩქარა, ჩქარა, დრო გადის! — აი ამ სიტყვებს მოველი ყოველთვის. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქმარი ამ სიტყვებს უფრო იმის შიშით ამბობს, არ დამიგვიანდესო, თორემ ის არაფრად აწუხებს, — სისხლიდგან

*) იხ. „ივერია“ № 239.

ფოთში ქართულის წარმოდგენის დროს ყაირათობენ, თითო მანეთის დახარჯვა ენანებათ და აკლდებიან ესტეტიკურს სიამოვნებას, მაშინ-როდესაც ქაღალდის თამაშსა და ლოტოში თუმნები არაფრად მიაჩნიათ; ან არა და საიდამე პამპულა „ფოკუსნიკი“ რომ გაჩნდეს, მაშინ-კი კლუბის დარბაზში ტევა არ არის.

ამ უკანასკნელ წარმოდგენაზედ რიგი იყო, რომა დასწრებოდნენ კლუბის წევრები, რადგანაც შემოსავალი კლუბის სცენის სასარგებლოდ იყო დანიშნული, მაგრამ სადაც ერთობა არ არის, იქ არაფერი იქნება რიგით და წესით.

მადლობის ღირსნი არიან ბ-ნი მენდელი და მეიერი, რომლებმაც თავიანთის მხრით ყოველივე შემწეობა აღმოუჩინეს უკანასკნელ წარმოდგენას; მაგრამ ორი კაცი იმას ვერა იქმს, რაც შეუძლიან ასსა და მეტსა. შემდეგშიაც თუ ესე ცოტა ხალხი დაესწრო წარმოდგენას, მაშინ სცენის მოყვარე დასი იძულებული იქმნება თავი დაანებოს კეთილს საქმესა.

ფოთელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კაკი** (საინგილო), 6-ს ნოემბერს. ჩვენს კაკში ამ წელიწადს ბევრი უბედურება მოხდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი მოხდება. მტრობა, შური და სისხლის-ძიება ინგილოებში არა ნაკლებ გავრცელებულია, ვიდრე კავკასიის მთიულთა შორის.

თითქო თათრის ჯარი შესევია რომელსამე ქვეყანას და აოხრებსო, სწორედ ისე აოხრებენ და ჰბუგავენ ინგილოები ერთმანერთის საცხოვრებელსა. აღდგომას აქედ ოც-და-ათი სახლი მეტი დაუწვავთ და ვინ იცის, კიდევ რამდენს დასწვავენ, თუ რომ ამას ყურადღება არ მიაქცია მთავრობამ. იწოდა სახლები და მათთან ერთად იწოდა მთელის წლის სარჩო-საბადებელი გლეხისა. აქაური სახლები და ბოსლებიც მთლად ჩალით არის დახურული და ყველა წარმოიდგენს, თუ რა სიჩქარით უნდა დამწვარიყო ცეცხლ-მოკიდებული სახლები და ბოსლები. ქართლივით აქ არც ორმოები, არც ბეღლები და არც მარნები არ იციან. გლეხს მთელი თავისი წლის მოსავალი სახლის სახურავის ქვეშა აქვს შენახული და ამიტომ ცეცხლის დროს არაფრის გადარჩენა არ შეიძლება.

საქართველოს არც ერთ კუთხის გლეხი არ იქნება იმისთანა ტანჯვა-წვალებაში, როგორშიაც არის ინგილოს გლეხი კალოობის დროს. მომკილს ძნას გლეხი თავის დღეში ვერ დასდგამს ბჯად კალოს პირზედ, როგორც სხვაგან საქართველოში სდგმენ, იმიტომ-რომ იმ წამსვე დაუწვენ; ეს არის მიზეზი, რომ გლეხმა მომკილი ძნა, ხანამ გალეწავდეს, უნდა შეინახოს სახლში, ბოსელში და აყარში; მერე ცოტა-ცოტაობით გამოიტანოს კალოზედ და გალეწოს.

ბზეს ბოსლის სახურავის ქვეშ ინახავენ; საბძლები აქ სრულიად არ იციან. ყველა მიხვდება, თუ რა ძნელი იქნება ჯერ ატანა ერთის საჟენის სიმაღლეზედ ბზისა და მერე იქიდგან ჩამოტანა ზამთარში. ამ ზაფხულს უფრო ის სახლები და ბოსლები იწოდა, რომლებშიაც ძნა იყო ხოლმე შენახული. ამ უკანასკნელს ხანებში სამი სახლი, სავსე ჭირნახულით, სულ ერთიან დაიწვა ზედი-ზედ, სამს ღამეს. ცეცხლის ნაპერწკლები სწორედ ზეცას ადიოდა; მთელი სოფელი სულ განათებული იყო ხოლმე.

მეზობელმა რომ მეზობელს სახლი დაუწვას, საჭიროა მხოლოდ სიტყვით უბრალო წყენა. აქაური ნაიბი ძალიან სცდილობს, რომ მოაშლევინოს კაკელებს სახლების გადაწვა და ამისათვის სოფელს „პრიგოვორი“ შეადგენინა, რომ ვისაც სახლი დაეწვის, მთელმა სოფელმა უნდა უზღას სახლის დანაფასევიო. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს გააფრთხილა და დააშინა აქაურები. იმას შემდეგ სახლი აღარ დაუწვავთ.

ახლა სხვა უბედურება ეწვია კაკს. სახლების დაწვას თავი დაანებეს და კაცის კვლას მიჰყვეს ხელი. კაცის კვლა ზოგიერთისათვის კაკში წიწილის მოკვლად გახდა. აგერ ერთი თთვეა, რაც ერთი ბიჭი დაიკარგა; ცამ ჩაყლაპა, დედამიწამ უყო პირი, ვეღარა გაიგეს-რა. ამბობენ, საქურდლად წავიდოდაო და იქ მოჰკლაედნენო. 30-ს ოქტომბერს შიგ სოფელში ღამით მოჰკლეს სოლომან ოთაროვი, რომელიც მეზობლიდგან ცხენით მიდიოდა შინ, ორ-ღობესთან ვენახიდგან ესროლეს თოფი და იქვე მოჰკლეს. მკვლელი ჯერ არ უპოვნიათ. აქ ადვილად ჩაუვლის ხოლმე კაცს კაცის კვლა და ამისათვის აგრე თამამად იქცევიან ბოროტნი კაცნი და ხოცავენ ხალხს. ამბობენ, ის დაკარგული ბიჭი და მოკლული თითონაც კეთილნი სულნი არ იყვნენ და ამისათვის მტრებმა მოჰკლესო.

კაცის მკვლელებმა ეს არ გვაკმარეს და კიდევ გუშინ, 5-ს ნოემბერს, მოჰკლეს კაკის მამასახლისის თანაშემწე მეშაბაში „სუდია“, რომელსაც ყველა კარგ კაცად იცნობდა. სწორედ რომ ღვთის რისხვა დატრიალდა აქა; გარედ კაცი ეხლა უშიშრად ველარ გაივლის. ამისთანა ყოფას თუ ეხლავე წამალი არ მოუნახეს, ბოლოს იქამდის მივა საქმე, რომ ერთმანერთს სულ ამოჟლეტავენ. აქაური ახლად დანიშნული ბლაღოჩინი მუდამ კვირას ქადაგებას ამბობს ეკკლესიაში მოსიარულე ხალხისათვის და არიგებს, რომ დაანებონ ყოველ ბოროტებას და ცუდს საქმეებს თავი, მაგრამ რას გააწყობს ლიტონი, თუნდა კეთილი სიტყვაც მაშინ, როცა ბოროტება ასე გავრცელებულა აქაურებში.

ვინმე კ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საფრანგეთში საქმეები აირია--სამინისტროს გადადგომას რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომაც მოჰყვა. საფრანგეთის მტრებს, რასაკვირველია, უხარიანთ, რომ ასე აეწეწა საქმეები იმათს მეტოქეს; საფრანგეთის მოყვრები-კი სწუხან, მაგრამ იმედს არა ჰკარგვენ, რომ ეს ქვეყანა გამარჯვებული გამოვა ამა არეულობიდამ და მტერს არ გაახარებს.

ტყუილად უხარიანთ გერმანელებსაო, — ამბობს გაზ. „Новости“, რომ საფრანგეთი დღეს აწეწილს ყოფაშია და ჰგონიათ, რომ დასების უთანხმოება და არევ-დარევა ჩვენ გამოგვადგებაო. ეს-კი არა, ამ უთანხმოებას რესპუბლიკაც რომ ემსხვერპლა და მონარქია დაწესებულიყო, გერმანელები მაშინაც ვერას მოიგებდნენ. მონარქია უფრო მეტის განძვინებით დაუწყებს ბრძოლას საფრანგეთის მტრებსა. ყოველთვის, როცა გამწვავდება ხოლმე საფრანგეთში ბრძოლა დასთა შორის, იმავე დროს მამულიშვილობა და პატრიოტობა ერთი-ორად მატულობს და იზრდება. ფრანგი რა დასის კაციც უნდა იყოს, ელზას-ლოტარინგის საქმე მამულიშვილობის საქმედ მიაჩნია. აი ეს გარემოებაა ჩვენთვის კარგი. ჩვენ რა დავა გვაქვს, რაც უნდა მოუვიდეს იქაურს სამინისტროსა და დასებსა. თუ ომი მოგვიხდება გერმანიასთან, საფრანგეთი ჩვენსკენ იქნება რა ნაირი მთავრობაც უნდა იყოს იქ მოთავედ.

მაგრამ ზოგნი-კი იმასაც ამბობენ, რომ ეხლანდელი აწეწილი ყოფა საფრანგეთისა სულ გარემოების ნიშანიაო. სახელდობრ იმის ნიშანია, რომ საფრანგეთს უნდა მოურიგდეს გერმანიას და სამინისტროც ისეთი ამოირჩიოს, რომელიც ბისმარკის წინააღმდეგი არ იქნებაო. თუ ასე დატრიალდა საქმე, მაშინ გაზ. „Новости“-ს მოსაზრება სრულიად დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

## რუსეთი

— ვარშავში, ვოლსკის ქუჩაზედ, გარდაცვლილა ერთი გლახა, გვარად იან კლეგანსკი, რომელსაც თავის ანდერძში ცოლისათვის 1,300 მან. უანდერძნია და ქალისათვის—1,700 მან.

— ავსტრიის საზღვართან, ბენდინსკის მაზრაში, სოფ. მოდრჟევოს ახლოს ამას წინად შემდეგი საკვირველი თვითმკვლელობა მომხდარა. ამ სოფლის გლეხს, სამოცის წლის მოხუცს, გულზე დაუკიდნია ამაფეთქებელი გული, თავის სახლს რამდენისამე ნაბიჯით გასცილებია და წუმწუმა წაუკიდებია გულისათვის. გული ისე საშინლად აფეთქებულა, რომ საბრალო მოხუცისა მარტო გვამის ძვალი და ფეხის ტოტები-ღა უპოვნიათ და ამასთან მთელის სოფლის ფანჯრის მინები დაუმტვრევია.

— სარატოვში 31 ოქტომბერს თავი მოუკლავს ცნობილს ახალგაზდა ვაჭარს, 35 წლისას, ი. ვ. ნედონოსკოვსა. ამ დღეს ნედონოსკოვი ასე საათის პირველზედ მისულა სახლში, ხუმრობა დაუწყვია, თავის ნოქარებთან ქაღალდი უთამაშნია და არავინ მოელოდა თურმე, რომ ეს კაცი სული ერთის საათის შემდეგ სიცოცხლეს გამოესალმებოდა. ქაღალდის თამაშობის შემდეგ ერთი ჭიქა არაყი დაულევია, გასულა მაღაზიიდგან დარბაზში და დამბაჩა მკერდში უსროლია, ისე, რომ ტყვიას გული გაუგანწლავს. თვითმკვლელს იმ წამსვე სული დაულევია.

---

შეიძლება დავიცალოვო, მაინც ადამიანს რკინის მოთმინება უნდა ჰქონდეს, რომ ყველა ეს აიტანოს და მოითმინოს.

აი, აგერ კარები გაიღო და კიბის თავიდგან გაისმის ჩემის ქმრის სასოწარკვეთილებით სავსე ხმა:

— ჯენ, ჩემი წაღები სად არის? რაო? რას ამბობ? მიჰქარავ, ოთახში არაფერი არ არის! წადი, ჰკითხე სუზანნას. რაო ჩემო, რისთვის წამოავლებს ხოლმე ყოველთვის ჩემს წაღებს ხელსა და გააქვს!

ერთი მოახლე იფიცავს, რომ მე მაგ საქმეში არ ვურევივაროო; მეორე ამბობს, რომ ღმერთი მოწამეა, გაწმენდილი წაღები წუხელივე შემოვიტანე თქვენს ოთახშიო. მსახურნი ვერ გაათავებენ ერთმანერთში ჩხუბსა, რომ მომესმის ტომკინსის დაწყნარებული ხმა,—არწმუნებს მსახურთ, რომ დამშვიდდით და ტყუილად ნუ ეჩხუბებით ერთმანერთსაო. საქმე იმაში გახლავთ, ჩემო ბატონო, რომ დაკარგული წაღები ფეხზედა სცმია. რამდენისამე წუთის მოსაგებად ტომკინსს წაღები ადრევე, ლოგინიდგანვე ამდგარა თუ არა, ჩაუცვამს და შემდეგ დავიწყებია.

— საუზმე მზად არის?—მოჰყვება ამის შემდეგ.—მზარეულ დედაკაცს უთხარით, ჯენ, რომ საუზმე მოიტანოს; ეხლა მზად უნდა ჰქონდეს. მე თქვენ გეუბნებით, რომ სამზარეულოს საათი სწორედ არ დადის და დამაგვიანებთ.

ამისთანა დროს სასადილო ოთახში არ გავდივარ და არც ვიცი, საუზმის დროს რა ამბავია. ვიცი მხოლოდ ის, რომ საუზმეს ტომკინსი ერთს წუთს შთანთქავს ხოლმე და, თითქოს ჩინური ცერემონია იყოსო, საუზმის დროს სულ ერთავად ზარებს აწკარუნებს. მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა სახელი დავუძახო ასეთს აჩქარებას? ეს ხომ უბედურებაა. და მერე, წარმოიდგინეთ, ჩემის ქმრის გვარეულობას ყველასა სჭირებია ეს სენი, ერთის მოდგმიდგან მეორეზე გადადის თურმე. ტომკინსის მამასაც ასეთივე აჩქარებული ხასიათი ჰქონია და დედას-კი ტომკინსი რამდენისამე საათით ადრე უშობნია ამ ქვეყნად, ვიდრე მოელოდნენ თურმე. მაშ რაღა საკვირველია, რომ ჩემს საბრალო ქმარს აჩქარება სჭირდეს სენად; ასეა თუ ისე, ეს გარემოება ჩემთვის ნამდვილი უბედურებაა.

რაც უნდა კარგს გუნებაზედ ვიყვე, ტომკინსი მომიშხამავს ხოლმე სიცოცხლეს თავის მეტის-მეტის აჩქარებისა და ფაცა-ფუცის გამო. თეატრის კარების გაღებას ვერ მოასწრობენ, რომ ჩვენ შევყოფთ ხოლმე თავსა. ხშირად ისე ამაჩქარებს და ისე ადრე წამიყვანს ხოლმე თეატრში, რომ ადამიანიშვილი არა ჩანს და თეატრის კარებები ერთიანად დაკეტილია. ჩემის აზრით, არც ერთს დედაკაცს არ გაუგონია მთელის ქვეყნის ძირზე იმდენჯერ, რამდენჯერაც მე გამიგონია, თუ თეატრის მემუსიკენი როგორ იმართებიან და სჭიმავენ სიმებს. წარმოდგენის დასასრული-კი არც ერთხელ არ მინახავს; ჯერ წარმოდგენას ბოლო არ უჩანს, რომ ტომკინსი წამოხტება და ტრიალს დაიწყებს ხოლმე, რა არის „ჩქარა გავიდეთ, რომ ეტლი ვიპოვნოთო“, ან იმიტომ-რომ „ხვალ კვირააო“, ან და კიდევ იმიტომ-რომ „ხვალ კვირა არ არისო“. გარწმუნებთ, აგერ რამდენს წარმოდგენაზე ვყოფილვართ ცოლ-ქმარნი და არც ერთი-კი არ ვიცი, თუ რითი თავდება, რითი ბოლოვდება. იგულებს თუ არა ხოლმე ტომკინსი, რომ ათავებენო, გადმომხურავს შალსა და კარებს გამიღებს ხოლმე.

ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ქმარი ძალიან ღვთის მოსავი კაცი არ არის და ამიტომ არ მიმიყვანს ხოლმე ეკკლესიაში ნახევარ საათით ადრე. ასე რომ იყოს, რად ამაჩქარებდა და ეკკლესიიდგან რად გამომიყვანდა მაშინ, როცა ჯერ წირვა არც-კია გათავებული. ჩვენის ადრე მისვლის გამო ძალიან ბევრი დაფარული შევიტყე. ეკკლესიის მნათე, რომელიც წირვის დროს გულ-ხელ დაკრეფილი დგას და სასოებით იყურება მაღლა, მაშინ, როცა ჩვენ მივდივართ, ხმა-მაღლა ამთქნარებს და ეკკლესიის დარაჯს ბევრს არა-საქებ ამბებს მოუთხრობს ხოლმე.

თეატრშიაც ბევრჯელ გამიგონია, რომ ერთს მემუსიკეს უთქვამს მეორესათვის, თუ რა კაცია დირექტორი და როგორ ეპყრობა თეატრში მოსამსახურეთა. არა ერთხელ რკინის გზის სადგურის მსახურთ ჩემს თვალ წინ ვაგონები დაუგვიათ და ერთმანერთისათვის შეუჩივლიათ თავისი დარდი და ვარამი. გამიგონია, რომ შემთხვევის მადლობელნი უნდა იყვნენ, თორემ ამა-და-ამ დროს კურიერის და პარლამენტის მატარებლები ერთმანერთს შეეჯახებოდნენო; გამიგონია, რომ მემაშინე ჯიმი ძალიან მოხერხებული კაციაო. ეს ჯიმი ყოველთვის მთვრალია თურმე და ისე ტკბილადა ხვრინავს ლოკომოტივზე, თითქო პირველ ხარისხის ვაგონში იწვესო. „რკინის გზის მოსიარულეთ რომ იცოდნენ, რა საფრთხეში აგდებენ თავიანთს თავსა რკინის გზით სიარულითაო,—უთქვამთ ხოლმე მსახურთ, უეჭველია, იმდენი ხალხი აღარ ივლიდა რკინის გზით, რამდენიც ეხლა დადისო“.

ყველა ზემოხსენებული ამბავი, რასაკვირველია, სამწუხაროა, ხოლო ეს კიდევ არაფერია იმასთან, როცა ტომკინსთან ერთად შორს სადმე მივდივართ. თუ ისეთს ტრიალსა და ღრიალშია, როცა მარტო მიდის, — წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქმნება, როცა მარტო-კი არა, ცოლ-შვილით აპირებს სადმე წასვლას. ჯერ დილით გაუთენებლივვე წამოხტება ხოლმე და დაიწყებს:

— გამიგონე, ჩემო მეგობარო, შენის ადგომის დროა. მოიგონე, რამდენი დრო მოუნდება შენს მორთვა-მოპრანჭვასა. ნუ დაგავიწყდება, ერთხელ ბრაიტონის მატარებელს რომ ვერ მივუსწარით და აღარც ბილეთები მოგვცეს (ეს ბრაიტონის მატარებელი სიკვდილამდე არ დაავიწყდება ტომკინსს, რამდენი წელიწადიც უნდა იცოცხლოს). და მაგას გარდა ბარგ-ბარხანას ჩალაგება უნდა. არაბელლა-ა-ა ა! (დაუყვირებს ახლა ჩვენს ქალს, რომელსაც მესამე სართულში სძინავს). მზადა ხარ, არაბელლა? არა? ხმაზედ გატყობ, რომ ჯერ კიდევ ლოგინიდგან არ წამომდგარხარ. ნახევარი საათი ვადა-ღა გვაქვს წასვლამდე? სუზანნა, რატომ წყალი არა დუღს? მაშ წვერი რითი უნდა მოვიპარსო. ძიძა, ყმაწვილები სად არიან? მომიყვა ერთი, დავკოცნო (სტყუის. ყმაწვილების კოცნა-კი არა, ის უნდა გაიგოს, წამოდგნენ და ტანთ აცვიათ, თუ არაო).

— ტომკინს!—წამოვიძახე.—რა გემართება, რიგიანად მოიქეცი. კიბეზე რად გადიხარ ჩაუცმელი! ჩაიცვი, ჩაიცვი ჩქარა, თორემ გაცივდები და მაგის მეტიც-კი აღარა გინდა-რა.

— რა ვქნა, ჩემო მშვენიეროვო,—მეტყვის ხოლმე.—ხალათი წუხელივე ჩავდე, რომ დრო მომეგო და არ დავბანდებულიყავი.

ყველაფერს, რასაც-კი ჩემი ქმარი აკეთებს, იმიტომ აკეთებს, რომ დრო მოიგოს ხოლმე. ფული და დრო რომ მართლა ერთი იყოს, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ჩემი ქმარი ძალიან მდიდარი და შეძლებული კაცი იქმნებოდა. იმის მაგიერ, რომ

დამბაჩის ხმაზედ შეცვივნულა ცოლ-შვილი, გასისხლიანებული კაცი უნახავთ და მაშინვე ექიმი დაუბარებიათ, ხოლო ექიმს ცოცხალისათვის ვეღარ მიუსწრია. ნედოსკოვს წერილი დაუტოვებია, რომელშიაც ეთხოვება ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვს, რომ ჩემს შვილს გაუფრთხილდითო. ამბობენ, რომ თავის ოჯახში ხშირად მოსდიოდა უსიამოვნება და ამიტომ მოიკლა თავიო. ნედოსკოვს ბოლოს დროს მალიან დაუწყვია არყის სმა და თითქმის დღე ყოველ ითვრებოდა თურმე.

— კიევში ლიბედსკის პოლიციის განყოფილების კარებთან უპოვნიათ ორის კვირის მიგდებული ყმაწვილი ღედათა სქესისა. მეორე დღეს პოლიციაში მისულა ერთი უცნობი ქალი, საშინლად აღელვებული და ნამტირალევი, და ქვითინით უთქვამს, რომ მე დედა ვარ იმ ყმაწვილისა, რომელიც გუშინ პოლიციის კარებ წინ იყო მიგდებულიო. ამასთან ბოქაულისათვის უთხოვნია: მომკლით, დამიბრუნეთ ჩემი ყმაწვილი, თორემ სინიდისმა მეტად დამტანჯაო. აზნაურის ქალი ვარ, შეკცდი, წინა დღეს მაგ ყმაწვილის მამასთან ვიყავი, ხოლო ლანძღვაგინებით გამომაგდო და მითხრა: არც შენი შემნახველი ვარ და არც შენის შვილისაო. გამწარებულს მინდოდა ყმაწვილი თავადვე მომეშორებინა, ხოლო გული დამეწვა, სინიდისმა შემაწუხა და ისევ მოვედი ჩემის შვილის წასაყვანადაო.

— გუდენსკის მაზრაში, ბუსტას ახლო, შემდეგი შემაძრწუნებელი ავაზაკობა მომხდარა: იმ ადგილას ცხოვრობდა თურმე ერთი 75 წლის მათხოვარა, ტადეუშ ჩერტოვიჩი, თავისის თხუთმეტის წლის ქალით. ამ რამდენისამე დღის წინად ზემოხსენებულ მათხოვარას სახლში შესულა ორი პირ-ბადე აფარებული კაცი, შეუკრავთ ყმაწვილი ქალი და გაუუპატიურებიათ. მოხუცებულს მამას დაუწყვია ყვირილი და ღრიალი, მაგრამ ავაზაკებს დაუშვრიათ თავსა და გვერდში და ამ გვარად ხმა ჩაუწყვეტინებიათ. შემდეგ მოუხვეტიათ სხვა-და-სხვა ნივთეულობა, ტანისამოსი, ფულად 10 მ. და 84 კ. გაუტანიათ და გაქცეულან. მოხუცს ჩერტოვიჩს ერთი ავაზაკთაგანი ხმაზედ უცვნია: ეს ავაზაკი ყოფილა მოქალაქე ანდრეი ზალევსკი და ამას წინად გაქცეულა გუდენსკის საპყრობილედგან.

— გოლგოსკში, ვალკსკის მაზრაში, შემდეგი მკვლელობა მომხდარა. მემამულეს ა. ორი შვილი ჰყოლია, რომელთშიაც უმცროსი, მამის საყვარელი, ჯარში უნდა წაეყვანათ თურმე. მამას, რომელსაც რამდენიმე კერძო თანამდებობა სჭერია და ამასთან შეძლებულიცა ყოფილა, იმედი ჰქონია, რომ ჩემს საყვარელს უმცროსს ვაჟს გადავარჩენო. ეს კაცი თურმე ცდილობდა ისეთი მოწმობანი ეშოვნა, ვითომ უფროსი ძმა ავადმყოფია და უმცროსი ინახავს მთელს ოჯახსაო, მაგრამ ვერაფრით მოუხერხებია. ამას წინად, დილით, კალოზედ ა—ს უფროსი ვაჟი ყელ-გამოღადრული უპოვნიათ. ეჭვი უმცროსს შვილზე აუღიათ და დაუპატიმრებიათ. მამა დაუშვრიათ და გამოუტყდარა დანაშაულში; უთქვამს, რომ ჩემის საყვარელ უმცროსის შვილის გადარჩენა მინდოდა სამხედრო ბეგარისაგან და ამიტომ ჩავიდინე ეს ავაზაკობაო. ერთი კვირა ვფიქრობდი, როგორ მომეკლა უფროსი შვილი ისე, რომ არავის გაეგონაო. მოკვლის წინა დღეს ხანჯალი ავილე და კალოზედ დავმალეო. დილით გარიჟრაჟისას უფროსი შვილი გამოვაღვიძებინე და კალოზედ სამუშაოდ დავიბარე. დაიხარა თუ არა მუშაობის დროს, ხანჯალი თავში დავკარი და შემდეგ ყელი გამოვჭერიო. შვილის მკვლელი მამა ვალკში გაუგზავნიათ განსასამართლებლად, ხოლო გზაზედ თავი ჩამოურჩვია და ამ გვარად გადარჩენილა ამქვეყნად სასჯელსა.

## წვრილი ამბები

— ემილ ზოლას ახალი რომანი „la Terre“ ეს არის ეხლა დაბეჭდილა ცალკე წიგნად.

— პარიჟის ცნობებიდგან სჩანს, რომ სანტიაგოში ხოლერა გავრცელებულა.

— გერმანიის მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობის გამო გაზ. „Figaro“ ამბობს, რომ საფრანგეთის ექიმს დევლას არა ერთი სნეული და სიკვდილზე მიღწეული ადამიანი მოურჩენია იმ ავადმყოფობისაგან, რომელიც მემკვიდრე პრინცსა აქვსო.

— პრინცს კობურგისას განუზრახავს ახლად მორთოს თავისი სასახლე სოფიაში. „Figaro“-ვე ამბობს, რომ პარიჟში სახლის ავეჯეულობის დიდს ფირმებსა დიდ-ძალი ნივთეულობა შეუკვეთა პრინცმაო. ბოლგარიის მთავარს პარიჟიდგანვე გამოუწერია ცხენები.

— საზღვარ-გარედის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი წინასწარ-მეტყველება მომავალ 1888 წელიწადზედ განთქმულის საფრანგეთის სასახლის ექიმის ნოსტრადამუსესი (1503—1556), რომელსაც მეფე კარლ მე-IX დროს უცხოვრია. აი ეს წინასწარ-მეტყველებაც: „ოჰ, სისხლისა, რკინისა და ოქროს ქვეყანავ! ვინც შეგაერთებს, ვინც აღგადგენს, იგივე ძირს გამოგითხრის და დაგაქცევს. ერთი სამად იქცევა. სამი მეფე ერთს ტახტზედ მოექცევა და ეს იქმნება დასაწყისი დასასრულისა. მეტის-მეტი ძალა შენობას დაანგრევს“.

— ფულის ერთი-ორად გამცემთა საყურადღებოდ. ვაურცბურგში განუსამართლებიათ ამას წინად საქმე ფულის სესხით გამცემის გილდერისა, რომელიც გერმანელ სტუდენტებსა ჰყვლეფავდა თურმე, 5—20 მან. აძლევდა სესხად და სამი ამოდენა ფულის თამასუქს ართმევდა. თითქმის მთელის გერმანიის ღარიბი ექიმები ამ სისხლის მწოველისაგან იყვლიფებოდნენ თურმე. სასაცილო ყოფილა გილდერის თავას გასამართლებელი სიტყვა. გილდერს უთქვამს, რომ ღარიბთა და შეუძლებელთა კეთილისმყოფელი ვიყავი, ხელს ვუმართავდი და ამ სიკეთეს იმითი მიხდიდნენ, რომ სარგებელსაც დროზედ და რიგიანად არ მაძლევდნენო. სასამართლოს დაუმტკიცებია: გილდერი სარგებლობდა სტუდენტთა და ღარიბთა შეუძლებლობით, ატყავებდა და ამიტომ 4 თთვით დაპატიმრებულ იქმნას, 2,000 მან. ჯარიმა გამოერთვას, სასამართლოს ხარჯი ორის წლის ვადით ყოველივე ქონებრივი უფლებანი ჩამოერთვასო.

— ეკს-იმპერატრიცა ევგენია ამ ჟამად ძალიან ავად არის თურმე. ნაპოლეონ მე-III ქვრივი იმის გამო გამხდარა ავად, რომ სიზმრება სწამს. ამ დღეებში, მაგალითებრ, ევგენიას უთქვამს ჰერცოგ დე-მუშისათვის, რომ ჩქარა მოვკვდები, რადგან ჩემი განსვენებული მეუღლე სიზმრად მეჩვენაო; მოვიდა ცხონებული, მითხრა გამომყე თანა და მეც გავყევი „აჩრდილთა სამეფოშიაო“. ამ სიზმარს ისეთი დიდი ზედმოქმედება ჰქონია, რომ ექიმებს შეშინებიათ—არა დაემართოს-რაო, და იმპერატრიცას საწოლ ოთახიდგან გარდაცვალებულ ქმრისა და შვილის სურათი გაუტანიათ.

— პარიჟის ჩრდილოეთ უბანში დიდძალი ფარდულებია თურმე დადგმული, სადაც სხვა-და-სხვა წარმოდგენები იმართება მდაბიო ხალხისათვის და ამიტომ მთელი დღე ამ უბანში ყვირილი და ღრიანცელი ტრიალებს. ამ უბნის მცხოვრებთა უთხოვნიათ ქალაქის საბჭოსათვის, რომ მოაშლევინეთ ეგ ფარდულები და კვლავ აღკრძალეთ მათი გამართვაო, ხოლო საბჭოს უარი უთქვამს. საბჭოს როცა ამ საგანზედ ლაპარაკი ჰქონია, აი რა გადაუწყვეტია: „რადგან შეძლებულებს არ მოსწონთ, რომ მდაბიო ხალხი დროს ატარებს და ერთობა მაგ ფარდულების წყალობით, ჩვენ ვეცდებით კი არ აღვკრძალოთ, უფრო გავამრავლოთ და ხელი შევუწყოთ ფარდულების გამართვასაო.

— ინგლისში ამას წინად ჯილდო იყო დანიშნული იმისათვის, ვინც მოაგონებდა კვერცხების საუკეთესოდ და გაუფუჭებლივ შენახვის საშუალებას. პირველი ჯილდო რგებია ერთს კაცს, რომელსაც რამდენიმე ასი კვერცხი ქატოში შეუნახავს, ისე, რომ კვერცხები ყირთამალა წყობილა; მეორე ჯილდო რგებია შემნახველს იმ კვერცხებისას, რომელსაც დამდნარი სანთელი და ზეთი წაუსვამს კვერცხებისათვის და მშვენივრადაც შეუნახავს; მესამე იმას, რომელსაც კვერცხებისათვის ქონი წაუსვამს, კირში ჩაუწყვია და კარგადაც შეუნახავს. ბევრი მოუტანიათ ქიმიურად შედგენილს წამლებში შენახული კვერცხები, ხოლო ყველანი წამხდრები და ლაყუები გამომდგარა. საზოგადოდ, ჯილდო სულ კერძო კაცებს მიუღიათ კვერცხის შენახვის ადვილ და უბრალო საშუალების აღმოჩენისათვის. ყველაზედ საუკეთესო საშუალება-კი ის არის თურმე კვერცხის დიდხანს შესანახავად, რომ მარილში ჩააწყოთ კვერცხი და ცივს ადგილას შეინახოთ.

## დეპეშა

13 ნოემბერი

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა მობრძანდნენ დღეს გატჩინოდამ პეტერბურგს. ქალაქი მორთულია ბაირაღებით.

დღეს დაამტკიცა მთავრობამ ის ვაჭრობა, რომლის ძალითაც ხაზინამ უნდა ჩაიბაროს პეტერბურგისა და კრონშტადტის მაღაზიებში კრუპა ოვსიანიკოვისაგან ფასი 9 მან.—9 მან. 24 კაპ. ჩეტვერტში; იმანვე უნდა ჩააბაროს კრუპა რეველის მაღაზიას 9 მან. 73 კაპ. სხვა გვარ პურის თაობაზე ვაჭრობა დანიშნულია 12 დეკემბრისათვის.

---

დრო მოიგოს, ყოველთვის უქმად ატარებს და თავის ფაცა-ფუცში ჰკარგავს ხოლმე დროსა. ვინ იცის, რამდენი წელიწადი სიცოცხლისა მოანდომა ეტლებისა და მატარებლების ლოდინსა! ის არ ემჯობინებოდა, რომ ამ დროს განმომაელობაში არხეინად და გულ-დამშვიდებით ესაუზმნა, წიგნები ეკითხა, იმათს წალმა-უკულმა სროლასა; ამას გარდა, რა არის, ერთს წუთს მაინც თავისუფლად ამოასუნთქვინებდა თავის ცოლ-შვილსა? გჯერათ, ბ-ნო რედაქტორო, რომ ამ გარემოების გამო არ ვიცი, რა ვქნა, ჩემს თავს რა წამალი დავდო. თუ ვაჟკაცი ვერ ითმენს, როცა ცოლი მოუსვენარი და დაუდეგარი ჰყავს, წარმოიდგინეთ მანდილოსანის მდგომარეობა, ქმარი რომ შეხვდება ამისთანა. მით უმეტესს, რომ კაცები უნდა მოელოდებოდნენ, როცა ცოლს ირთავენ, რომ ცოლი დაუდეგარი ეყოლებათ და ქალები-კი ამას სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდნენ. არ დავმალავ, ცოტა დინჯი ხასიათი მაქვს; ქალები ყველანი ასეთები ვართ. სარკეში ვიხედებით მაშინ, როდესაც კიბეზედ უნდა ჩავდიოდეთ; იმ წუთას მოვაბამთ ხოლმე წერილს ბოლოს, როცა წერილების მომკრები წერილებსა ჰკრებს ყუთიდგან; დასასრულ, ყმაწვილების კოცნასა და ალერსს მაშინ მოვყვებით ხოლმე, როცა ეტლი კარებთან გველის. თუ „pater familias“-ნი ხან-და-ხან გვაჩქარებენ ხოლმე, ამას კიდევ თავისი მიზეზი აქვს, ხოლო ჩვენის მოტყუების ნება-კი არა აქვთ; აი სწორედ ამაზედაც მოგახსენებდით. როგორც გინდა მოვიქცე, მაინც ჩემი საქციელი ტომკინსს ნებას არ აძლევს, საათის ისრები წინ წასწიოს და ან ყველას გულები გაუხეთქოს იმით, რომ ათის საათის მაგიერ თორმეტი თქვას. რამდენჯერ მომხდარა, როცა სადილად წასასვლელნი ვყოფილვართ სტუმრად სადმე, დარწმუნებით და დაბეჯითებით უთქვამს,—ეხლავე ეტლი მოვაო, და ამ ამბის გამო ისე აჩქარებული ვარ, რომ თავის გადავარცხნა ვერ მომისწრია! ბოლოს-კი გამოსულა, რომ სხვათა სახლში დანიშნულს დროზედ ნახევარ საათით წინ მივსულვართ და სასტუმრო ოთახში არავინ დაგვხვედრია, რომ შევეპატიჟნეთ. ბევრი ვარწმუნე ქმარი, რომ როცა 6 საათსა 45 წუთზე ხარ სადმე სტუმრად წასასვლელი, 7 საათზე უნდა წახვიდე-მეთქი, მაგრამ ჩემი ლაპარაკი დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ჩვენ რომ დავიპატიჟოთ ვინმე და დროზედ არ მოვიდეს, ტომკინსი ლოდინს არავის დაუწყებს, თვით ჩინეთის დედოფალსაც-კი, როგორც თითონ იტყვის ხოლმე. ეხლაკი ჩემი სათქმელი დავასრულე, ბ-ნო რედაქტორო.

P. S. არა, ჯერ არ დამისრულებია. რა კარგად მოხდა, რომ წერილი სალამოს ფოსტისათვის ველარ მოვუსწრო და სოფელში წავიდე, იქნება მისამატებელი მქონდეს რამე-მეთქი. მისამატებელი-კი მართლაც რომ მაქვს. გუშინ რკინის გზის სადგურში მივედით ჩვეულებრივად მოღალულები, მოწყვეტილები, დაქანცულები; დარწმუნებული ვიყავ, რომ ერთის საათით ადრე მივიდოდით სადგურზე. ჩემდა გასაკვირველად, მატარებელი ბაქანს ახლო იდგა და ზედ ასვლა ძლივს მოვასწარით იმ დრომდე, ვიდრე ტომკინსი გაფიცხებული ბილეთების საყიდლად გარბოდა, უკაცრავად, კი არ გარბოდა, მიფრინავდა. ტომკინსი გვკიცხავდა და ამ კიცხვის დროს საშინელს, არა-საკადრისს სიტყვებსა ჰხმარობდა. რომ ველარ მოვითმინე, ვუთხარი: რა დაგემართა, ყმაწვილებს მაინც ნუ გააგონებ მაგისთანა მშვენიერს სიტყვებსა-მეთქი.

— მე რომ არა ვყოფილიყავი, ქალბატონოვო,—მიპასუხა —ჩვენ დღეს გასვლას ვერ მოვასწრობდით. თქვენთან-კი ადამიანმა ასე უნდა ილაპარაკოს, რომ დაგძრათ როგორმე ადგილიდგანაო.

ტომკინსი მეტად ავს გუნებაზედ იყო. როცა მატარებელში ჩავსხედით, ისე ლონივრად გამოჰკრა მატარებლის ფანჯრის დარაბას, რომ გამოამტვრია.

— რა საძაგელი ვაგონია!—წამოიძახა.—სულ ყველაფერი დამპალ-დუმპალ მასალისაგან არის გაკეთებული. ამას გარდა ასე უნდა მივცოცავდეთ. თუ კურიერის მატარებლები ასე დადიან, მე ფეხით გავუსწრობ. ვერა, დანიშნულს დროზედ ვერ მივალთ, საცა მისასვლელნი ვართ.

— შენ ტყუილად თავს რაზედ იტკივებ-მეთქი,—ვუპასუხე.—ფეხები გაშოტე და დაიძინე. რკინის გზის მმართველობაა პასუხის-მგებელი. ერთმა საათმა უნდა გაიაროს, ვიდრე მატარებელი შედგება.

ეს სიტყვები ვერ დავასრულე, რომ მატარებელმა სიარულს მოუკლო და, როგორც ეტყობოდა, ერთის რაღაცა უბრალო რკინის გზის სადგურის წინ უნდა დამდგარიყო. ჩემმა ქმარმა ფანჯრიდგან გაიხედა.

— ეს რა ამბავია, კონდუქტორო? რაო, რისთვის შედგა აქ მატარებელი?

— არაფერი ამბავი არ არისო,—უპასუხა კონდუქტორმა:—ნაბრძანები გვაქვს, რომ ყველა სადგურზედ შევაყენოთ მატარებელი.

— ყველა სადგურზედაო?—დაიძახა ტომკინსმა და ფერი წაუვიდა. მაშ ეს კურიერის მატარებელი არ არის?

— არა, ეს პარლამენტისაა. კურიერისა ნახევარ საათის შემდეგ წამოვა. ჩვენ მეორე, სხვა ლიანდაგზედ გადავალთ, რომ გზა მივცეთ კურიერისას. იმ სადგურზედ-კი, ჩემო ბატონო, სადაც თქვენ მიბრძანდებით, გათენებისას მივალთ, და იქნება დაგვიგვიანდეს კიდეც.

მე ტომკინსს არა ვუთხარი-რა, არ ვუსაყვედურე, რადგან ვხედავდი, რომ თითონაც არ იყო თავისის თავის მადრიელი. კარგად იცოდა, რომ იმის მიზეზით ჩავსხედით ამ მატარებელში და იმის მიზეზითვე მთელი ღამე ვაგონში უნდა გაგვეტარებინა. არც მაშინ ვუსაყვედურე, როცა ჩვენი მატარებელი სხვა ლიანდაგზედ გადავიდა და ჩვენს ახლო გაიელვა კურიერის მატარებელმა და გაქრა. ჩუმად ვიყავი მაშინ, ეხლაც ჩუმადა ვარ, ხოლო თუ ტომკინსი კიდევ იტყვის: „აჩქარდი, თორემ დავგვიანდებითო!“, თუ კიდევ მოიგონებს ბრაიტონის მატარებელს, როცა ბილეთები ვერ ვიშოვნეთ, ეხლა პასუხი მზადა მაქვს და სიტყვას ადვილად მოვუჭრი.

ორ-ანი

ეროვნული

**ხარკოვი.** გამოძიება ორლოვის ბანკის საქმის გამო გათავდა. ხვალ დაიწყება კაცათობა. მცოდნე კაცთა გამოძიებამ დაამტკიცა ყველა მოსაზრებანი საბრალმდებლო ოქმისა. იმედი აქვთ, რომ ორშაბათისათვის სულ გათავდება საქმის გარჩევა.

## 14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** თოთხმეტს ნოემბერს საუფლისწულო უქმის გამო, ხელმწიფე იმპერატრიცის დაბადების დღეს, დიდის ამბით გადახდილი იქმნა წირვა.

სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ პროექტი, რომ კიდევ უფრო გავრცელდეს და გაძრიელდეს საშინაო მრეწველობა.

როგორც ისმის, განზრახვა აქვთ, საქალაქო საბჭოებში შეამცირონ ებრაელ ხმოსანთა რიცხვი; ებრაელნი არ უნდა აღემატებოდნენ ერთს მეექვსედს ნაწილს ყველა ხმოსანთა.

გაზეთი „Journal de St.-Pétersbourg“-ი იხსენიებს რა გერმანელ სეფე სიტყვას, ლაპარაკობს მასზე, რომ გერმანიის პოლიტიკას საგნად მშვიდობიანობა აქვსო.

**პეშავერი.** ამას წინად აქ შეიყარნენ სხვა-და-სხვა თემთა წარმომადგენელნი, შვილი ბუხარის ემირისა და აბდულ-ხან-ქიარიმი კოკანისა. ამ ყრილობაზე ლორდმა დეფერინმა წარმოსთქვა: კარგი განწყობილება ავღანისტანთან იმის საბუთია, რომ საზღვრებზე არავითარი შიში არ არისო. დეფერინმა აღიარა, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის მორიგებას ავღანისტანის საზღვრის თაობაზე იგივე შედეგი ექნებაო.

**პარიჟი.** გენერალმა სოსიემ წერილით უარი გამოაცხადა პრეზიდენტის კანდიდატობაზე. მომარჯვენეთა დასს განზრახვა აქვს კანდიდატად ჰერცოგი ომალისა გამოაცხადოს.

**სოფია.** საერო კრებამ არ ისურვა პასუხის-გებას მისცეს კარაველოვი და სხვანი, რომლებსაც ბრალდებათ ალექსანდრე ბატენბერგის გადაყენება. ამ ნაირად კრებას არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფოთა უკმაყოფილება. პრინც ფერდინანდის მდგომარეობა, როგორც ამბობენ, ძალიან შერყეულა. პრინცმა აღუთქვა ბოლგარებს, რომ მოკლეს ხანში დიდნი სახელმწიფონი დამამტკიცებენ მთავრადაო, მაგრამ პრინცის იმედი არ ასრულდა. ამიტომაც ბოლგარნი გულ-აცრუებულნი არიან ფერდინანდზე; პრინცის საქმე იმის მიზეზად მიაჩნიათ, რომ ბოლგარიამ ვერც სახელმწიფო სესხი მოიპოვა და უკიდურესს ეკონომიურს მდგომარეობაში ჩავარდაო. კოლჩევი და გრეკოვი პრინცის წინააღმდეგ მოქმედებენ და ამ მოკლე ხანში მოელიან დიდს ამბებსაო.

**ბერლინი.** ახალის კანონ-პროექტის ძალით ბაჟი უნდა გაწერილ იქმნას ამ ნაირად: პურზე—6, ფშვრიასა, ჭარხალ-ბოლოკსა და თალგამის თესლზე—3, უგრეხელზე—2, ქერზე—2¼, სიმინდზე—2, ალავოზე—4, სახამებელზე—14, ვერმიშელსა და მაკარონზე—15 და სხვა-და-სხვა ფქვილზე—12 მარკა. ეს წესი შემოღებული იქმნება დღე-იდგან.

## 15 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ წირვის გათავების შემდეგ ანიჩკინის სასახლეს ეკკლესიაში მიესალმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე იმპერატრიცას: სამღვდელოება, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, მინისტრები და კომანდირები ხელმწიფე იმპერატრიცის სახელ-წოდების პოლკებისა. საუზმე 300 კაცისათვის იყო მომზადებული. მეოთხე საათზე მათ უდიდებულესობანი დაბრუნდნენ გატჩინოს. მარიინსკის თეატრში უფასო წარმოდგენა იყო სასწავლებლების შეგირდებისათვის, ქალებისა და ვაჟებისათვის; ანტრაქტების დროს მოსწავლე ახალგაზდობას სასახლის ხარჯით უმასპინძლდებოდნენ.

**ხარკოვი.** გუშინ საღამოს დაიწყეს კამათობა ორლოვის ბანკის საქმის გამო. პროკურორის ლაპარაკმა 4 საათამდე გასტანა. დღეს დილით ილაპარაკეს საკონკურსო გამგეობის და ქალაქის ორიოლის სამოქალაქო წესით მაძიებელთა.

**ბერლინი.** ახალი მომატებული სადამოქნო ბაჟები დღეს შევიდა ძალაში, რადგან იმედი აქვთ, რომ კანონ-პროექტს შეიწყნარებს რეიხსტაგი; ხოლო თუ რეიხსტაგმა არ შეიწყნარა ეს ბაჟები, უკანვე დაუბრუნდებათ ბაჟის გადამხდელებთ.

**პარიჟი.** დღეს დილით მინისტრები შეიკრიბნენ რუვიესთან და ბჭობდნენ. შემდეგ რუვიე წავიდა ელისეის სასახლეში, საცა გრევიმ ფორმალურად გამოაცხადა, რომ გადავწყვიტე სამსახურიდამ გამოვიდეო. თან ისიც დასძინა, რომ ხუთშაბათს ეპისტოლეთი მივმართავ პალატისა და სენატის პრეზიდენტებსაო. რუვიემ ეს ამბავი ფლოკეს შეატყობინა, ალბად ხვალ მოითხოვენ, რომ პალატამ და სენატმა გადასდონ სხდომა ხუთშაბათამდე.

## 16 ნოემბერი

**ბერლინი.** კერძო დეპეშა „Berliner Tageblatt“-ისა რომიდამ გვაუწყებს, რომ იტალიის სამხედრო გემს „Omea“-ს შეუპყრია ობოკის ახლო ადენის ყურეში საფრანგეთის გემი, რომელშიაც ბევრი ფრანგები და უცხოელნი ყოფილან აბისინიაში მიმავალნიო.

როგორც მასსოვიდამ იწერებიან, აბისინელებს განზრახვა აქვთ გამაგრდნენ კერენ ასმარასაკენაო. ნეგუსი და რასალულა შეუერთდებიან ერთმანერთს ადუაშიო.

**პარიჟი.** ანატოლ დე ლა ფორჟს ფორმალურად გამოუცხადებია, რომ უარს ვამბობ პრეზიდენტობის კანდიდატობაზეო.

დღეს პარიჟში ორი კრება იყო სოციალისტებისა. ყველა მოლაპარაკენი ჰკიცხავდნენ გრევის, ფერრის და პალატებს. კრებამ ბოლოს ამ ლაპარაკის შესაბამი გარდაწყვეტილებანი დაადგინა.

**პეტერბურგის ბირჟა, 10 ნოემბერს.**

ფ ა ს ე ბ ი:

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 97 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 266 |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 237½ |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—ეოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

### ნოემბერი 30 დღით არის

**17 დღე სამშაბათი.** წმ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა, მოწ. გობრონისა და 133 სხ. კათოლ. ქალწ. მოწ. დედოფ. სალომეისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა. სიკვდილი ეზიდასი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—5, ჩადის 4—31. მთვარე 15 დღისაა.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. პლატონისა, რომანოსისა და მეზვერე ზაქესი. კათოლ. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლეს ეკკლესიის კურთხევა. სომეხ. მე-3 დღე ჰოსნაკის მარხვისა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—49. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 4—31. მთვარე 16 დღისაა.

**19 დღე ხუთშაბათი.** წ. ნ.-მეტუავდიასი, ღირსისა ვაკლამისა, იოასეფისა და წმ. ილარიონისა. კათოლ. წმ. დედოფალ ელისაბედისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 17 დღისაა.

**20 დღე პარასკევი.** ღირსისა გრიგოლისა. კათოლ. წმ. აღმსაარ. ფელიქს ვალისელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 18 დღისაა.

**21 დღე შაბათი.** ტაძრად მიყვანა წმ. ღვთის-მშობლისა მარიამისა. ესევე ფრანგთა და სომეხთათვისაც. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 4—30. მთვარე 19 დღისაა.

**22 დღე კვირა.** წმ. ფილიმონ მოციქულისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ცეცილიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 4—30. მთვარე 20 დღისაა.

**23 დღე ორშაბათი.** წმ. ეპისკ. ანფილოქესი. კათოლ. წმ.-მოწ. პაპა კლიმენტისა. სომეხ. წმ. ქალწ. იულიანასი და ვასილიასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 21 დღისაა.

**24 დღე სამშაბათი.** დიდის ქალწ.-მოწ. ეკატერინასი და ავგუსტასი დედოფ. კათოლ. წმ. იოანესი. სომეხ. წმ. ღუკასნე მღვდელისა და სხვათა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 4—30. მთვარე 22 დღისაა.

**25 დღე ოთხშაბათი.** წმ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ეკატერინესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30. მთვარე 23 დღისაა.

**26 დღე ხუთშაბათი.** წმ. ალიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპის. აღმსაარ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. კლიმენტისა და ხაგრატ ეპისკოპოსისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 24 დღისაა.

**27 დღე პარასკევი.** მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

**28 დღე შაბათი.** წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა. 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | | 3 » |
| » 2 » | | 2½ » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 » |
| » » 2— | | 3½ » |
| » » 3 » | | 3 |
| ჯვარის მამის პურის [illegible] | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | | 5 » |
| მე-2 ხარისხისა . . | | 4 » |
| მე-3 — . . . | | » » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 » |
| » 2 » | | 6 » |
| [illegible]გი . . . . | | 13 » |
| ძროხის ხორცი . . . | | 7 » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | | 7 » |
| » 2 » | | 6 » |

## კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია დაწიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.


## ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი **მზა-მზარეული ტანისამოსი** მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა **ზომიერია** და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

გ. ხუდავერდიანცი

(10—7)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 » | 5 „ . . . | 5 „ 25 » |
| 10 „ . . . | 8 „ 75 » | 4 „ . . . | 4 „ 75 » |
| 9 „ . . . | 8 „ — » | 3 „ . . . | 3 „ 50 » |
| 8 „ . . . | 7 „ 25 » | 2 „ . . . | 2 „ 75 » |
| 7 „ . . . | 6 „ 50 » | 1 „ . . . | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა № 9.


Доз. цен. Тиф. 16 ноября. 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.